# ALEXANDER GRIBOYEDOV'S GRAVE IN THE MTATSMINDA PANTHEON AND THE SCULPTURE COMPOSITION CREATED FOR IT

# ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავი მთაწმინდის პანთეონში და მისთვის შექმნილი სკულპტურული კომპოზიცია[1]

**TAMAR BELASHVILI**

Giorgi Chubinashvili National Research Centre for
Georgian Art History and HeritagePreservation.
Chief Researcher
Atoneli str. 9, Tbilisi, Georgia, 0105
Apolon Kutateladze Tbilisi State Academy of Art
Associated Professor
Griboedov str. 22, Tbilisi, Georgia, 0108
+995557474422, tamarbelashvili@gmail.com
Orcid ID: 0009-0001-3706-7925

## Abstract

When discussing 19th-century Georgian sculpture, all sources agree that the first distinctly European-character example of sculpture in the round in Georgia of that time was the monument at Alexander Griboyedov's grave (created by the Italian-born sculptor Campione and erected in the Mtatsminda Pantheon in 1832). It is true that Ioseb Balakhashvili, in his artistic-documentary work "Griboyedov and Alexander Chavchavadze," questions the date of the grave's decoration, though he too attributes the authorship of the sculpture to Santino Campione, who lived in Russia. Already in several Russian publications from the second half of the 20th century, the mentioned decoration of Griboyedov's grave is referenced among the works of another sculptor, Vasily Demut-Malinovsky. However, the mention is only in a list, which is not accompanied by any substantial research whatsoever.

Clearly, it is important to clarify both the overall history and the sequence of events related to the decoration of Griboyedov's grave, as well as the date and author. The mentioned architectural-sculptural composition is remarkable in 19th-century Georgian art for several reasons, especially if we consider that Georgian sculpture in the round of this period appears unusually novel to the eye accustomed to the centuries-old, plane-oriented formal language of the Middle Ages, and offers Georgian society a new, or rather long-forgotten, version of plastic representation. Therefore, there exists a natural interest in this work in the history of Georgian art and especially in the history of Georgian sculpture.

[1] სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევების კონკურსში დაფინანსებული პროექტის „XIX/XXსს.–ის ქართული ხელოვნების ისტორია“ (FR-21–8422) ფარგლებში.

Archival documentation, as well as information scattered fragmentarily in specialized literature, photographic and graphic materials, and publications printed in local and foreign periodicals, created the opportunity both for the sequential reconstruction of the history of Alexander Griboyedov's grave decoration and for clarifying the identity of the sculpture's author. In the process of this present research, additional information was also found regarding one of the restoration-renovations of Tbilisi's Mamadaviti Church, which preceded the construction of the current cathedral.

**Key words:** Sculpture, 19th century Georgian sculpture, Mtatsminda Pantheon, Alexander Griboyedov.

**თამარ ბელაშვილი**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული
კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
თბილისი, ათონელი ქ., # 9, 0105, საქართველო
აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, გრიბოედოვის ქ., 22, 0108, საქართველო
+995557474422, tamarbelashvili@gmail.com
Orcid ID: 0009-0001-3706-7925

**აბსტრაქტი**

XIX საუკუნის ქართულ ქანდაკებაზე მსჯელობისას ყველა ავტორი თანხმდება, რომ ამ დროის საქართველოში, მრგვალი ქანდაკების პირველი გამოხატულად ევროპული ხასიათის ნიმუში ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავის ძეგლია; შექმნილი წარმოშობით იტალიელი მოქანდაკის კამპიონის მიერ და აღმართული მთაწმინდის პანთეონში 1832 წელს. მართალია, იოსებ ბალახაშვილი თავის მხატვრულ-დოკუმენტურ ნაშრომში „გრიბოედოვი და ალექსანდრე ჭავჭავაძე“, საფლავის შემკობის თარიღს ეჭვქვეშ აყენებს, თუმცა ქანდაკების ავტორობას ისიც რუსეთში მცხოვრებ სანტინო კამპიონის მიაწერს. უკვე XX საუკუნის მეორე ნახევრის, რამდენიმე რუსულ გამოცემაში გრიბოედოვის საფლავის აღნიშნული შემკულობა სხვა მოქანდაკის, ვასილი დემუტ-მალინოვსკის ნამუშევრებს შორის მოიხსენიება. მაგრამ მხოლოდ ჩამონათვალში, რასაც არანაირი საფუძვლიანი კვლევა არ ახლავს თან.

ცხადია მნიშვნელოვანია გაირკვეს, როგორც მთლიანად ისტორია და მოვლენათა განვითარების თანმიმდევრობა, რაც გრიბოედოვის საფლავის შემკობას უკავშირდება, ასევე თარიღი და ავტორი. აღნიშნული არქიტექტურულ-სკულპტურული კომპოზიცია XIX საუკუნის ქართულ ხელოვნებაში არაერთი ნიშნითაა საგულისხმო. მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროის ქართული მრგვალი ქანდაკება, შუასაუკუნეების

მრავალსაუკუნოვან, სიბრტყეზე ორიენტირებულ ფორმათმეტყველებას შეჩვეული თვალსითვის ისედაც უჩვეულოდ გამოიყურება და პლასტიკური გამომსახველობითობის ახლებურ, ან უკვე კარგად დავიწყებულ ვერსიას სთავაზობს ქართულ საზოგადოებას. ამიტომ ქართული ხელოვნების ისტორიაში და მით უფრო ქართული ქანდაკების ისტორიაში აღნიშნული ნამუშევარისადმი ბუნებრივი ინტერესი არსებობს.

საარქივო დოკუმენტაციამ, ისევე როგორც სპეციალურ ლიტერატურაში ფრაგმენტულად გაბნეულმა ინფორმაციამ, ფოტო და გრაფიკულმა მასალამ, ადგილობრივ და უცხოურ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილმა პუბლიკაციებმა საშუალება შექმნა, როგორც ალექსანდრე გრიბოედობის საფლავის შემკობის ისტორიის თანმიმდევრული აღდგენისთვის, ასევე ქანდაკების ავტორის ვინაობის დაზუსტებისთვის. წინამდებარე კვლევის პროცესში მოძიებულ იქნა დამატებითი ინფორმაციაც თბილისის, მამადავითის ეკლესიის ერთ-ერთი აღდგენა-განახლების შესახებ, რომელიც წინ უსწრებდა ამჟამინდელი ტაძრის მშენებლობას.

**საკვანძო სიტყვები:** ქანდაკება, XIX ს.-ის ქართული ქანდაკება, მთაწმინდის პანთეონი, ალექსანდრე გრიბოედოვი

**შესავალი:**

ქართული სამეცნიერო ლიტერატურა XIX საუკუნის ქანდაკების შესახებ მწირ ინფორმაციას ფლობს. შესაძლოა ამის მიზეზი ამ პერიოდში ქანდაკების მიმართულებით მომუშავე ავტორების სიმცირე იყოს. სულ რამდენიმე უცხოელი და ადგილობრივი ავტორის დასახელება თუ მოხერხდება. ნაკლებმრავალფეროვანია მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობაც, რომლის დიდი ნაწილი შემორჩენილიც კი არ არის. ამიტომ დღევანდელი მოცემულობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის და XIX -XX საუკუნეების მიჯნის ქართული სკულპტურა საფუძვლიან დამატებით კვლევას საჭიროებს. ასეა ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავისთვის შექმნილ პლასტიკურ კომპოზიციასთან დაკავშირებითაც. ქართველი ავტორები ან საერთოდ არ უთითებენ ამ ნამუშევრის ავტორის ვინაობას, ან იტალიური წარმოშობის რუსეთში მცხოვრები ოსტატის კამპიონის გვარი სახელდება. ამ მოსაზრებას მყარ საფუძველს რუსულ პერიოდულ პრესაში გრიბოედოვის საფლავის შემკობის თემისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში ავტორად კამპიონის დასახელება უქმნის. დიდი ალბათობით ეჭვი არც უნდა გაჩენილიყო, რომ არა გვიანი დროის ნინო ჭავჭავაძის ცხოვრებისადმი მიძღვნილი, მხატვრულ-დოკუმენტური რამდენიმე გამოცემა, სადაც მოხმობილი წერილობითი წყაროები საფლავის შემკობის თარიღს ეჭვქვეშ აყენებს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ გაწაფული თვალისთვის დღეს უკვე ადვილი მისახვედრია, რამდენად ტრაფარეტულ გამოსახულებასთან გვაქვს საქმე, როცა გრიბოედოვის საფლავის სკულპტურულ შემკულობაზე ვსაუბრობთ. თუმცა მაშინ, როცა ის იქმნებოდა, ამ ტიპის ინფორმაციის სიმწირის გამო მხატვრული ღირებულების კუთხით კითხვები არც არავის გასჩენია. მეტიც საქართველოს მასშტაბს თუ გავცდებით ასეთი ქანდაკებებით საფლავების შემკობა ნორმა და მიღებული სტანდარტიც კი იყო. მართალია უფრო ადრეული მსგავსი ტიპის, კლასიცისტური ქნდაკების მაგალითი საქართველოში ჯერ ცნობილი და გამოვლენილი არ არის, თუმცა თუ რუსეთის იმპერიაზე ვისაუბრებთ, რომლის ნაწილადაც იმხანად ჩვენი ქვეყანა მოიაზრებოდა, აღწერილი მოვლენა სტანდარტულის კატეგორიიდან იყო.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, დოკუმენტური, ასევე ფოტო და საარქივო მასალის საფუძველზე გრიბოედოვის საფლავის შემკობის თანმიმდევრული ისტორიის დადგენას,

თარიღების დაზუსტებას და რაც მთავარია მოქანდაკის ვინაობის გარკვევას. მასალაზე მუშაობისას საინტერესო ინფორმაცია გამოიკვეთა მთაწმინდის მამადავითის ტაძრის 1827–1828 წლებში განხორციელებული აღდგენითი სამუშაოების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა მხოლოდ არაპირდაპირ ბმაშია ჩვენი კვლევის უმთავრეს მიმართულებასთან, ის მაინც მოტანილია ნაშრომში შენიშვნების სახით, რათა ერთიან ისტორიულ კონტექსტში, მეტი სისრულით წარმოჩინდეს ჩვენი კვლევის უმთავრესი თემა.

**მეთოდები:**

სახელოვნებათმცოდნეო კვლევა იმის მიხედვით თუ რა ტიპის მასალაა და რა ამოცანაა სხვადასხვა კვლევის მეთოდის ერთობლიობას გულისხმობს. როცა საქმე ისტორიული რეალობის აღდგენას ეხება ცხადია ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და ჩვენს შემთხვევაში, კომპარატივისტული მეთოდი ერთ-ერთი ყველაზე რელევანტურია. ხდება სათანადო მასალის მოძიება, ცალკეული მიმართულებების ურთიერთმიმართების დადგენა და ამ გზით შედეგის მიღება. ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენს შემთხვევაში ფორმის ანალიზი, რადგან პარალელური მასალის მოზიდვის გარეშე, რაც საფუძველს ქმნის ნამუშევრების მსგავსება-განსხვავებაზე არგუმენტირებული მსჯელობისთვის, ავტორის იდენტიფიკაცია შეუძლებელია. ეს კი ამ ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მით უფრო როცა კონკრეტული ინფორმაცია არ არსებობს, ან მოსაზრებები მკვეთრად განსხვავებულია.

**შედეგები:**

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა გრიობიედოვის საფლავის შემკობის ისტორიის თანმიმდევრულ აღდგენას. ნაშრომში ეს ამოცანა ვთვლით, რომ დაძლეულია. საქართველოს ეროვნულ არქივში, ეგზარქოსის კანცელარიის დოკუმენტებს შორის დაცულია საქმე, რომელიც მოიცავს ნინო ჭავჭავაძის მიმოწერას მისი ქმრის საფლავზე სკულპტურული კომპოზიციის განთავსებასთან დაკავშირებით. რადგან საქმე სატაძრო მშენებლობის საკითხსაც ეხება (როგორც ცნობილია ნინო ჭავჭავაძემ შესთავაზა ეგზარქოსს ახალი ტაძრის მშენებლობა მამადავითის იმჟამინდელი ძველი, დარბაზული ნაგებობის ნაცვლად), მასალა რომელიც ეგზარქოსის კანცელარიამ ამასთან დაკავშირებით მოიძია, მხოლოდ ოფიციალურ პირთა შორის მიმოწერით არ იფარგლება და დამატებით დოკუმენტებსაც მოიცავს. საყურადღებოა ამ მიმოწერაში გაჟღერებული კიდევ ერთი შეთავაზება, რომელის ავტორიც ამჯერად ეგზარქოსია და რომელიც ლიტერატურაში თითქმის არსად არაა ნახსენები. ეგზარქოსი ნინოს ახალი ეკლესიის აგებას სთავაზობს მთის ძირში და იქ გრიბოედოვის ნეშთის გადასვენებას. აღნიშნული დოკუმენტაციის გაცნობამ შესაძლებელი გახადა საფლავის შენების არც თუ მარტივი პროცესის ფრაგმენტული თვალისგადევნება.

ასევე წინამდებარე კვლევის ფარგლებში მოხერხდა მანამდე პრესაში თუ სხვადასხვა პუბლიკაციაში გაფანტული ინფორმაციის ერთად თავმოყრა, რამაც ჯამში მნიშვნელოვანი სურათი შეკრა და საშუალება გააჩინა პროცესის სხვადასხვა მნიშვნელოვანი დეტალით შევსებისთვის.

რაც შეეხება ქანდაკების ავტორის ვინაობას, ვთვლით, რომ ეს საკითხი უკვე საბოლოოდ დაძლეულია და აღარანაირი ალბათობა იმის, რომ ამ ქანდაკების ავტორი კამპიონია არ არსებობს. ქანდაკება ეკუთვნის რუს მოქანდაკეს ვასილი დემუტ-მალინოვსკის, თუმცა დიდი ალბათობით სწორედ კამპიონის სახელოსნოშია ჩამოსხმულ-დამზადებული, კომპოზიციის როგორც ბრინჯაოს, ასევე ქვის ნაწილები. ერთადერთი საკითხი, რაზეც დადასტურებით მსჯელობა ჭირს, არის ის, რომ აკლდამის თავზე არსებულ წარწერაში 1832 წელი ფიგურირებს,

ეს მაშინ, როცა 1833 წელს მთაწმინდაზე გრიბოედოვის საფლავზე არანაირი სამუშაოები დაწყებულიც კი არ იყო; არ არსებობდა არც ამ სამუშაოებისთვის აუცილებელი ნებართვა. კვლევაში გამოთქმულია ვარაუდები ამასთან დაკავშირებით. ცხადია საერთო სურათს მსგავსი დეტალი უკვე ვერ შეცვლის, რადგან აშკარაა ის გაწელილი სამუშაოების და პარალელურად მიმდინარე მოლაპარაკებების დროში დაუმთხვევლობის შედეგია, თუმცა ამბის ყველა შემადგენლის სრულად შევსების თვალსაზრისით უდაოდ საინტერესოა.

**მსჯელობა:**

ალექსანდრა წერეთელი თავისი ნაშრომის „ქართული საბჭოთა პორტრეტული ქანდაკება“ შესავალში აღნიშნავს: „ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მთაწმინდაზე დიდი რუსი მწერლის ა. გრიბოედოვის სამარხი შემკობილ იქნა ცნობილი მოქანდაკის კამპიონის მიერ შესრულებული მუხლმოყრილი მწუხარე ქალის ფიგურით“ (წერეთელი, 1959: 12). ამ თემას ავტორი მეტი აღარ უბრუნდება და აღარც განავრცობს. (ილ.1, 2)

1956 წელს გამოცემულ ი. ენიკოლოპოვისა და გ. ტყეშელაშვილის ავტორობით შედგენილ მცირე კრებულში „მთაწმინდის პანთეონი“, ალ. გრიბოედოვის განსასვენებელი უფრო ვრცლადაა დახასიათებული. აქ ვკითხულობთ: „ა. გრიბოედოვის საფლავზე მოტირალი ქალის ბრინჯაოს სიმბოლური სკულპტურა, თითქოს გახევებულია ჯვარზე შუბლმიყრდნობილი. მის ფეხებთან ორი წიგნია, ერთის ყუაზე წერია „ვაი ჭკუისაგან“, წიგნს ზევიდან ლირა ადევს. ეს ქანდაკება ჩამოასხეს მოსკოვში 1832 წ.“ ( Ениколопов. Ткешелашвили, 1956: 9). აღნიშნულ გამოცემაში ქანდაკების ავტორზე არაფერია ნახსენები (ილ. 3, 4, 5).

დაახლოებით ანალოგიური ხასიათისაა 1957 წელს, კვლავაც ი.ენიკოლოპოვის, რომელიც ი.ენაკოლოპაშვილად არის უკვე მითითებული, ავტორობით გამოცემული მცირე ფორმატის წიგნი „მთაწმინდა“. აქ ავტორი შედარებით ვრცლად აღწერს თითოეულ საფლავს, მათ შორის გრიბოედოვისასაც და აღნიშნავს: „ქანდაკება შესრულებულია ცნობილი იტალიელი მოქანდაკის ს. კამპიონის მიერ. ის განასახიერებს ჯვრის წინ მუხლმოყრილი მოტირალი ქალის ფიგურას“ (Энаколопашвили, 1957: 17). ამავე მოქანდაკეს ასახელებს გრიბოედოვის საფლავის ძეგლის ავტორად ი.ბალახაშვილიც წიგნში „გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე“ (ბალახაშვილი, 1966: 216) და ეყრდნობა კვლავაც ენიკოლოპოვის სტატიას, გამოქვეყნებულს 1955 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ (იანვარი, N2). ი.ბალახაშვილი არ იზიარებს მოსაზრებას საფლავის 1832 წელს შემკობის თაობაზე, თუმცა ქანდაკების ავტორის ვინაობის საკითხს ეჭვქვეშ არ აყენებს. კამპიონის გვარიც მხოლოდ იმდენად ჩნდება მასთან, რამდენადაც ფიგურირებს მის მიერ მოხმობილ ციტატაში, 1832 წლის ჟურნალ „მოსკოვის ტელეგრაფის“ სტატიიდან, რომელსაც თავის მხრივ იყენებს ენიკოლოპოვი საკუთარი მოსაზრების არგუმენტირების მიზნით (Московский телеграф, 1832: 411-412).

1832 წლის „მოსკოვის ტელეგრაფში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის მნიშვნელობა გრიბოედოვის საფლავის შესახებ მსჯელობისას ძალიან დიდია. სტატიას თან ერთვის საფლავის პროექტის გრაფიკული გამოსახულება. (ილ.6) ინფორმაციას მოქანდაკის შესახებ, დაბეჭდილს ტირაჟირებულ გამოცემაში, სწორედ აქ ვხვდებით პირველად. მასზე დაყრდნობით ხელმძღვანელობს შემდგომი პერიოდის თითქმის ყველა ავტორი, ვინც აღნიშნულ თემას ეხება. ის, რომ „მოსკოვის ტელეგრაფის“ ეს გამოცემა მოვლენების თანადროულია და რომ, სტატიის გამოქვეყნების დროს ნინო ჭავჭავაძე ცოცხალია, ტექსტისადმი, როგორც პირველწყაროსადმი, ნდობის ფაქტორს მკვეთრად ზრდის. ამიტომაც ქანდაკების ავტორის ვინაობა ეჭვქვეშ არასდროს არავის დაუყენებია.

ნიკოლაი პოლევოი (ჟურნალი „მოსკოვის ტელეგრაფის“ გამომცემელი და ავტორი) გრიბოედოვის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ მიმოხილვითი მსჯელობის შემდეგ, მოგვითხრობს პოეტის სურვილზე, დაკრძალულიყო თბილისში, მთაწმინდაზე. „დაობლებულმა მეუღლემ მის ნეშტზე აღმართა მემორიალი, რომლის ფასადი და გეგმა ტელეგრაფის ამ გამოშვებას დავურთეთ. სკულპტურა, რომელიც მემორიალის თავზეა განთავსებული და პიედესტალი მოსკოვშია გაკეთებული, ცნობილი მხატვრის ბ-ტ კამპიონის მიერ. პიედესტალს ოქროს ასოებით აწერია, ერთ მხარეს, პორტრეტის ქვევით: „ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი, დაიბადა 1795 წელს, 4 იანვარს, მოკლეს თეირანში, 1829 წლის, 30 იანვარს“ („АЛЕКСАНДРЪ СЕРГѢЕВИЧЪ ГРИБОѢДОВ, РОДИЛСЯ 1795 ГОДА ГЕНВАРЯ 4 ДНЯ, УБИТЪ ВЪ ТЕГЕРАНѢ 1829 Г. ГЕНВАРЯ 30 Д.“) მეორე მხარეს – „შენი საქმე და გონება უკვდავია რუსთა მეხსიერებაში, მაგრამ რატომ აღმოჩნდა ჩემი სიყვარული შენზე დღეგრძელი?“ („УМЪ И ДѢЛА ТВОИ БЕЗСМЕРТНЫ ВЪ ПАМЯТИ РУССКОЙ; НО ДЛЯ ЧЕГО ПЕРЕЖИЛА ТЕБЯ ЛЮБОВЬ МОЯ!“)[2]. პოლევოი აქ არ აზუსტებს, რომ აკლდამას რეალურად სამი წარწერა ამკობს სამ მხარეს. მის მიერ მოტანილი ორი წარწერის გარდა არის კიდევ ერთი: „დაუვიწყარს, მისი ნინა (სგან)“ („НЕЗАБВЕННОМУ, ЕГО НИНА“).

იაკობ ბალახაშვილი თავის წიგნში „გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე“, როგორც აღვნიშნეთ, ეჭვქვეშ აყენებს საფლავის 1832 წელს შემკობის ფაქტს (ბალახაშვილი, 1966: 216) და ამის დასტურად 1833 წელს საქართველოს ეგზარქოსისადმი ნინო ჭავჭავაძის მიწერილ წერილს იმოწმებს, სადაც გრიბოედოვის ქვრივი, ჯერ ისევ ქანდაკების დადგმის ნებართვას ითხოვს (ფ.488. ანაწ.1 საქ. 2670). ი.ბალახაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გრიბოედოვის საფლავზე ქანდაკება 1837 წლამდე არ აღმართულა.

მივყვეთ ისტორიის განვითარების თანმიმდევრობას... გრიბოედოვის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ცნობილია ნინო ჭავწავაძემ ერთი წელი მძიმედ იავადმყოფა. მხოლოდ 1930 წელს შეძლო მან ზრუნვა დაეწყო ქმრის საფლავის მოწყობაზე. ამავე წლით თარიღდება (1930 წლის 22 აპრილი) კიდეც მისი წერილი ფ.ბულგარინისადმი პეტერბურგში. „აქამდე მე ვერ შევძელი რაიმე მომემოქმედებინა განსვენებულის საფლავის ქანდაკების გასამართად, ამასთან აქ არ არის შესაძლებლობა ეს ჩემი სურვილის მიხედვით განხორციელდეს. ამ ვითარებაში გადავწყვიტე თქვენ მოგმართოთ და გთხოვოთ შეუკვეთოთ პეტერბურგში მავზოლეუმი თუჯის ან მარმარილოსი, როგორც ჩათვლით უმჯობესად. დარწმუნებული ვარ რომ თქვენ ამას მიანდობთ მხატვარს, ვისაც შეუძლია ალექსანდრე სერგეის ძის ღირსებების, მისი უბედური დასასრულის და მეგობრების სევდის ასახვა. ამას თან ერთვის ნახატი, როგორც დამხმარე მხატვრის წარმოსახვისთვის. ასახავს ტაძრის გარე ხედს და იმ ადგილს სადაც მავზოლეუმი უნდა განთავსდეს. ყოველგვარი გარე შემკულობა მხატვრის გემოვნებისთვის მიმინდვია“. შემდგომ ტექსტში საუბარია ამ ჩანაფიქრის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსებზე (ფ.488. ანაწ.1 საქ. 2670).

საყურადღებოა, ნინო ჭავჭავაძე თავად გზავნის ზოგად მონახაზს იმისა, თუ სავარაუდოდ სად უნდა მდგარიყო გრიბოედოვის საფლავისთვის შექმნილი სკულპტურა. ეს სრულებით არ ნიშავს, რომ ჩანახატი თავადვე შეასრულა, თუმცა პროექტზე არსებული ობიექტების გადანაწილების საფუძველს დიდი ალბათობით, ის იძლევა.

საქართველოს ეროვნულ არქივში, ეგზარქოსის კანცელარიის დოკუმენტაციაში, დაცული მიმოწერიდან ვგებულობთ, რომ მოვლენები სირთულეებით წარიმართა. საფლავზე რაიმე

[2]„ჭკუა და საქმენი შენნი უკვდავია რუსის ხსოვნაში. მაგრამ როგორ დაგთმო ჩემმა სიყვარულმა?“ – ეს გახლავთ აღნიშნული ტექსტის ტარგმანი, რომელიც მოტანილია ნესტორ მაჭარაშვილის წიგნში „აღწერა მთა-წმიდის ეკლესიისა და წმ. მამა დავითის ცხოვრებისა“, (1895), ტფილისი.

ტიპის მხატვრული კომპოზიციის შექმნასთან დაკავშირებით ნებართვის მოპოვებამ დამატებითი ხარჯები მოითხოვა. 1831 წლის 5 ივლისს, ნინო წერილით მიმართავს საქართველოს ეგზარქოსს, იონა ვასილევსკის: „ჩემი მეუღლის, სახელმწიფო მრჩევლის, ალექსანდრე გრიბოედოვის, დაკრძალვიდან მალევე გავეცი განკარგულება მის საფლავზე შესაფერისი ქანდაკების აღმართვის თაობაზე. რისი საბოლოო განხორციელებაც დაგვიანდა ჩვენი მხარის პეტერბურგისგან დიდი მანძილით დაშორების გამო, სადაც ეს მავზოლეუმია შეკვეთილი და უნდა ჩამოიტანონ. ვხედავ რომ წმ. დავითის ეკლესიის საფუძველი, რომელთან ახლოსაც მდებარეობს საფლავი, ჩამონგრევის პირასაა. ის დიდხანს ვერ შენარჩუნდება. ამასთან მიცვალებულის ხსოვნის მეტი პატივისცემისთვის, რომელიც სიცოცხლეშივე ამბობდა, რომ წმ. დავითის მონასტერში სურდა დაკრძალულიყო, მივიღე გადაწყვეტილება და ვიმედოვნებ დავითანხმო გრიბოედოვის დაც, ქალბატონი დურნოვა, თავიდან ავაგო წმ. დავითის ეკლესია. გაცნობებთ ამის შესახებ და წარმოგიდგენთ გეგმას და ფასადს შესაძლო ეკლესიისას ამჟამინდელის ადგილზე“ (ფ.488,ანაწ. 1. საქ. 2670).

ეგზარქოსის კანცელარიამ ამ საქმის ირგვლივ მათ ხელთ არსებული მთელი დოკუმენტაცია შეკრიბა. უნდა გადაეწყვიტათ რამდენად მიზანშეწონილი იყო რუსეთის იმპერიის მაღალჩინოსნის ქვრივის წინადადება. დაიბარეს (1831წ. 28 ივლისი) მთაწმინდის ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვარი იოსებ გრიგორიევი და ნაგებობის მიმდინარე ფიზიკურ მდგომარეობას გაეცნენ.[3] ის თვლიდა, რომ ნინო გრიბოედოვას ინიციატივა უფლისა და ხალხისთვის კარგი იქნებოდა, თუმცა იქვე დასძენს – „მშენებლობის გაჭიანურების შემთხვევაში მე და ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახი სრულიად უსახსროდ ვრჩებით და ამიტომ გადაწყვეტილების მიღებას სრულად ჩემი ზემდგომის კეთილგონიერებას და კეთილ ზრუნვას ვანდობო“ (ფ.488,ანაწ. 1. საქ. 2670).

მინაწერის მიხედვით ზემოთაღნიშნული მასალები სამოქალაქო გუბერნატორისთვის, პეტრე ზავილეისკისთვის მომზადდა. მასვე სთხოვეს დაავალოს გუბერნიის არქიტექტორს და ქ(ვ)აშვეთის დეკანოზ პეტრე არდაზიანოვს, ნახონ და შეისწავლონ ტაძრის ამჟამინდელი ფიზიკური მდგომარეობა. ამბავი ეცნობა პეტრე არდაზიანოვსაც.

1832 წლის 26 სექტემბერს ნინო ჭავჭავაძე კვლავ მიმართავს საქართველოს ეგზარქოსს, ამჯერად უკვე მოსე ბოგდანოვ-პლატონოვ-ანტიპოვს. წუხს, რომ წინა ეგზარქოსმა მას ახალი ტაძრის აგების ნებართვა ვერ მისცა, თუმცა ამჯერად უკვე მხოლოდ მეუღლის საფლავის მოწყობას და ზედ ქანდაკების განთავსების ნებართვას ითხოვს. 1832 წლის 24 ნოემბერს, ეგზარქოსი, ამ თემის შესახებ, ვრცელ, საფუძვლიან წერილს ამზადებს სამოქალაქო გუბერნატორის ნიკოლოზ ფალავანდიშვლის სახელზე. სადაც მოთხრობილია მთელი ისტორია ნინო ჭავჭავაძის პირველი თხოვნიდან მოყოლებული. ნახსენებია, ისიც, რომ ქვრივს ამჯერად ახალი ტაძრის მშენებლობა აღარ განუზრახავს და მხოლოდ ქმრის საფლავის

[3] მღვდელი ეგზარქოსის კანცელარიაში საუბრისას ამბობს, რომ ტაძარი, რომელიც განახლებულია 1828 წელს, კვლავაც დაზიანებულია. „კამარაში, ისევე როგორც კედელში, აღმოსავლეთის მხარეს არის ბზარები და არსებობს ჩამონგრევის საფრთხე. ტაძარი აგების თანადროული ხის სახურავითაა გადახურული, რომელიც პერიოდულად ლპება და შესაკეთებელია. დანარჩენ კედლებს, მართალია თვალით შესამჩნევი დაზიანებები ჯერ არ აღენიშნებათ, მაგრამ რადგან ტაძრის საძირკველი არამყარია, ისინიც დიდხანს ვერ გაძლებს. განსაკუთრებით თუ იმ მანიშნებლებით ვიმსჯელებთ, რამაც აღმოსავლეთის მხარეს უკვე იჩინა თავი. ქვედა დონეზე არსებულ გზასთან განსაკუთრებული სიახლოვის გამო, აღმოსავლეთის მხარეს საძირკველს საყრდენი თითქმის არ აქვს. ამიტომ მდგომარეობა საშიშია. რასაც არქიტექტორიც დაადასტურებს, რომელიც ვითარებას ადგილზე ნახავს“.

თავიდან აშენება სურს, ზედ ქანდაკებით. ეგზარქოსს მოსწონს ქანდაკება (საფიქრებელია, რომ მას ნანახი აქვს პროექტი), თუმცა, მისი თქმით, ტაძარი კვლავაც დაზიანებულია[4], „მსგავსად დაზიანებულ შენობასთან კი, კარგი ქანდაკებაც უადგილო იქნება“. მისი აზრით ურიგო არ იქნებოდა ნინო ჭავაჭავაძეს ისევ ეკლესიის აღდგენაზე ეფიქრა. ამ თვალსაზრისით ეგზარქოსი ამჯერად სრულიად განსხვავებულ ვარიანტს სთავაზობს სამოქალაქო გუბერნატორს. ის თვლის, რომ „ძველი ტაძარი უნდა დარჩეს ხელუხლებელი, ახალი კი აშენდეს მთის ძირში. ამისთვის საჭიროა გრიბოედოვის ნეშთის გადასვენება, შემდგომ მის საფლავზე მცირე ზომის ტაძარის აგება მემორიალური ძეგლით, რაც დიდ ხარჯებთან არ იქნება დაკავშირებული და რაც შესაძლებელს გახდის უშუალოდ მიცვალებულის საფლავთან გარდაცვლილის სულისთვის ლოცვას. ეს კი ყველა ძეგლზე უკეთესი ძეგლი იქნება, როგორც განსვენებულისთვის ასევე მისი აღმშენებლისთვისო“ (ფ.488,ანაწ. 1. საქ. 2670).

პასუხად ფალავანდიშვილი 1833 წლის 22 თებერვალს ეგზარქოსს ატყობინებს, რომ გრიბოედოვის ქვრივის თქმით მას უკვე არანაირი სახსარი არ აქვს არა თუ ახალი ტაძრის მშენებლობისთვის, არამედ ძველის აღდგენისთვისაც. ამიტომ იძულებულია ქმრის საფლავზე მხოლოდ ძეგლის დადგმით შემოიფარგლოს და რის ნებართვასაც ითხოვს. ეგზარქოსმა უარით უპასუხა (1833 წლის 27 თებერვალი) ნინოს თხოვნას. მიზეზად კი ტაძრის არსებული მდგომარეობა და ქანდაკების სიმძიმით გამოწვეული შესაძლო საფრთხეები დასახელდა.

ნიკლოზ ფალავანდიშვილის მომდევნო კორესპოდენციიდან ეგზარქოსისადმი (1833 წლის 30 მარტი) ვგებულობთ, რომ ნინო ჭავჭავაძე მიზანშეწონილად მიიჩნევს არქიტექტორის ან

[4] საქმეს გრიბოედოვის საფლავის შემკობის თაობაზე, საქართველოს იმჟამინდელ ეგზარქოსთან და სამოქალაქო გუბერნატორთან ნინო ჭავჭავაძის მიმოწერის გარდა თან ერთვის დოკუმენტი, რომელიც ეგზარქოსის კანცელარიამ თავად მოამზადა თემატური საჭიროებიდან გამომდინარე. ეს გახლავთ ეგზარქოსის კანცელარიის მმართველის მიერ შედგენილი მიმოხილვითი წერილი, სადაც მოკლედ მოთხრობილია მთაწმინდის ტაძარში 1827–1828წწ.-ში განხორციელებული აღდგენითი სამუშაოების შესახებ. „თბილისის შემოგარენში, გარეთუბანში არსებული მთაწმინდის ფერსცვალების ეკლესიას აქვს ოთხი დამხმარე ნაგებობა და ჰყავს მოძღვარი, იოსებ გრიგორიევი. ... ის 1827 წლის 13 აპრილს, მოხსენებითი ბარათით ატყობინებს მის მაღალუსამღვდელოესობას, საქართველოს ეგზარქოსს იონას (ვასილევსკი), ეკლესიის კედლების დაბზარვის თაობაზე. მიზეზად კი საკურთხეველზე წინიდან მიშენებული სვეტებისა და კარნიზის სიმძიმეს ასახელებს. ითხოვს ტაძრის მდგომარეობის ადგილზე შესწავლას სპეციალისტის მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული შემდგომი დაზიანებები. ამ ინფორმაციის საფუძველზე მისი მაღალუსამღვდელოესობა იმავე წლის 18 აპრილს, სწერს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელს და სთხოვს თბილისის ქალაქის არქიტექტორი გაეცნოს ფერისცვალების ეკლესიაში არსებულ სირთულეებს. რა შეიძლება მოუხერხდეს სვეტებს და შესაძლებელია თუ არა, მათ გარეშე კედლების გამაგრება. საქმე გუბერნიის არქიტექტორ ბარაშკინს დაევალა. ის სამოქალაქო გუბერნატორისადმი ანგარიშში აღნიშნავს: საჭიროა კაპიტალურ კედელს მოცილებული ფრონტონი და სვეტები საერთოდ აღებულ იქნას, რის გამოც შემცირდება ზეწოლის ძალა დასუსტებული კლდის მონაკვეთზე; კედლის ზედა ნაწილი, სახურავის ქვევით უნდა გამაგრდეს რკინის სამაგრებით; საკურთხევლის თავზე არსებული ნახევარკამარა კი უნდა შეივსოს ქვა-ღორღით. რაც საკმარისი იქნება ეკლესიის მდგომარეობის გამოსასწორებლად. 1827 წლის 29 აპრილს, მღვდელ გრიგორიევს საეგზარქოსოდან ბარაშკინის დასკვნის საფუძველზე გასცეს პასუხი და დაავალეს მოხალისეების დახმარებით, რომელთაც თავად გაუწევდა ზედამხედველობას არქიტექტორის მიერ დაგეგმილი სამუშაოების შესრულება. საჭირო თანხა ტაძრის შემოსავლებით და შემომწირველების მიერ შეგროვილი ფულით უნდა დაფარულიყო. მღვდელ გრიგორიევის (1828 წლის 6 მარტის) მოხსენებითი ბარათით ეგზარქოსისადმი კი გებულობთ, რომ სამუშაოები ჩატარდა და ტაძარის მდგომარეობა გამოსწორდა. დაიხარჯა 166 რუბლი 70 კაპიკი ვერცხლი.“ დოკუმენტს კანცელარიის მმართველი აწერს ხელს. საქართველოს ეროვნული არქივი. ფ.488,ანაწ. 1. საქ. 2670

ინჟინრის მოწვევას ვითარების სწორად შეფასების მიზნით. ამასთან ქანდაკება უკვე მზადაა და გზაშია. მისი ზომა, არც ისე დიდია რაიმე ნგრევა გამოიწვიოს. სამოქალაქო გუბერნატორი ამჯერად ეგზარქოსს უკვე არქიტექტორის მოწვევის ნებართვას სთხოვს.

მთაწმინდის ტაძრის მდგომარეობა ინჟინერ-პოდპოლკოვნიკმა ბელოკოპიტინმა შეაფასა. სასულიერო პირთაგან კი პროცესს კვლავ არდაზიანოვი დაესწრო. დასკვნა ფალავანდიშვილის წერილთან ერთად გაეგზავნა ეგზარქოსს 1833 წლის 24 ივნისს. დასკვნაში წერია „გრიბოედოვის საფლავის აგება არა თუ საზიანო იქნება ტაძრისთვის, არამედ პირიქით, რადგან ამ ძეგლის მოწყობა აღმოსავლეთის მხარეს საფუძვლიან საყრდენს შექმნის საძირკველში, რაც მას შემდგომში დაიცავს აღმოსვლეთით, შესაძლო ჩამონგრევისგან“. დოკუმენტს ხელს აწერს ქ(ვ)აშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზი, ბლაღოჩინი პეტრე არდაზიანოვი.

და ამ საქმის ბოლო დოკუმენტი, რომელიც არქივშია დაცული, არის 1833 წლის 24 ივნისით დათარიღებული ეგზარქოსის (მოსე ბოგდანოვ-პლატონოვ-ანტიპოვი) ნებართვა, რომლითაც ნინო გრიბოედოვას მთაწმინდის ეკლესიასთან, მისი ქმრის საფლავზე ძეგლის აგების უფლება ეძლევა. ამ ნებართვას ნიკოლოზ ფალავანდოვისადმი მიწერილი წერილის სახე აქვს და ინჟინერ ბელოკოპიტოვის და სასულიერო დეპუტატის პეტრე არდაზიანოვის დასკვნა უდევს საფუძვლად. ტექსტში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ქანდაკება გარდაცვლილის საფლავზე უნდა აღმართულიყო, რაც იმის მიუხედავად, რომ ენობრივად მცირედი განზოგადების საშუალებას იძლევა, დიდი ალბათობით სწორედ საფლავის თავზე დადგმულ სკულპტურას გულისხმობდა და არა ზოგადად საფლავზე აღმართვას, რასაც თავდაპირველი პროექტი ითვალისქინევდა.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ეს მიმოწერა გრიბოედოვის საფლავის შემკობის ისტორიის შესახებ ბევრ და საინტერესო ინფორმაციას იძლევა. ქრონოლოგიურად გადანაწილებული მოვლენები კი მოწმობს, რომ 1833 წლის ზაფხულში, მთაწმინდაზე გრიბოედოვის საფლავი შემკული არ იყო, რადგან ამ დროს ჯერ მხოლოდ სამუშაოების დაწყების ნებართვის გაცემის საკითხი განიხილებოდა. შესაბამისად თარიღი, რომელსაც „მოსკოვის ტელეგრაფი“ ასახელებს, განსაკუთრებით კი თარიღი, რომელიც აკლდამის შესასვლელზეა მიწერილი, 1832 წელი, როგორც თარიღი საფლავის შემკობისა, მოვლენების რეალურ განვითარებას არ შეესაბამება.

ი.ბალახაშვილი იმასაც კი ვარაუდობს, რომ ქანდაკება საფლავზე 1837 წლამდე არ იდგა. ამის დასტურად ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკის ძმისადმი მიწერილი წერილი მოაქვს (შადური, 1949: 137). სადაც მწერალი წუხს, რომ გრიბოედოვის საფლავზე მისულს არც წარწერა და არც რაიმე ქვა არ დახვდა იმის მიმანიშნებელი თუ ვინ განისვენებდა იქ. წერილი 1937 წლის 23 თებერვლითაა დათარიღებული.

გამოდის საფლავის შემკობა ძალიან გაჭიანურებულა. ამაზე შესაძლოა არაერთმა ფაქტორმა იქონია გავლენა, მათ შორის ყველაზე ლოგიკურია ნინო ჭავჭავაძის ოჯახში განვითარებული მოვლენები. ალექსანდრე ჭავჭავაძის დაპატიმრება 1832 წელს შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით და ტამბოვში გადასახლება. დასაშვებია, რომ რუსეთიდანაც დაეგვიანებინა შეკვეთის ჩამოსვლას. აქ უჩვეულოდ მხოლოდ ერთი დეტალი ჩნდება ეს გახლავთ აკლდამის შესასვლელის ნახევარწრიული თაღის ზევით არსებული ქართული წარწერა: „აქა მდებარეობს გვამი გრიბოედოვისა. აღუშენა ძეგლი ესე მეუღლემან თვისმან ... თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულმან წელსა 1832“ (ტექსტი მოტანილია დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით. თ.ბ.). თუ ჩვენსავე მსჯელობას განვავრცობთ, გამოდის, რომ წარწერა სადაც 1832 წელია მითითებული ან გვიან გაკეთდა და ზედ დაიტანეს არა გარდაცვალების არამედ

სამუშაოების დაწყების თარიღი; ან ქვის სამუშაოები 1832 წელს უკვე იყო შეკვეთილი და დასრულებული, თუმცა ადგილზე ბევრად გვიან დამონტაჟდა, წარწერა კი აღარ(ვეღარ) შეიცვალა; ან შესაძლოა ქვის მოსაპირკეთებელი სამუშაოები და მათ შორის წარწერაც 1832 წელს განხორციელდა და შესაბამისად აისახა კიდეც ტექსტში, მით უფრო თუ დავუშვებთ, რომ ამ საქმეს საქართველოში, ქართველი ქვის მთლელები ასრულებდნენ. რაც ლოგიკური და დამაჯერებელიცაა. ქვის სმუშაოების შესახებ, ზემოთ მოტანილ კორესპოდენციაშიც არაფერია ნათქვამი. საბოლოო ნებართვა, რომელიც ეგზარქოსმა ნინო ჭავჭავაძეს მისცა მხოლოდ ქანდაკების დადგმას ეხება და მთის ბაქანის, აკლდამის ან კედლის ზედაპირის მოპირკეთება-შემკობის შესახებ არაფერს გულისხმობს. თუ ეს ყოველივე ამ დროისთვის უკვე დასრულებული იყო და მხოლოდ ქანდაკების დადგმის საკითხი რჩებოდა გადასაჭრელი მაშინ თითქოს ყველაფერი ლაგდება, თუმცა დღეს ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან, ამ თანმიმდევრობაში, ბესტუჟევ-მარლინსკის ძმისადმი მიწერილი, ზევით ნახსენები, წერილი არ თავსდება, რის გამოც ვფიქრობთ ეს საკითხი კვლავაც შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

ი.ბალახაშვილი აკლდამის შესასვლელის თავზე ამოჭრილ ტექსტს, რატომღაც მცირედი განსხვავებებით აქვეყნებს თავის წიგნში: „აქა მდებარეობს გვამი გრიბოედოვისა. აღვმართე ძეგლი ესე მეუღლემან მისმა თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულმან წელსა 1832“ (ბალახაშვილი, 1966: 216). არსებობს ტექსტის რუსული, თარგმნილი ვარიანტიც ი.ენიკოლოპოვის და გ.ტყეშელაშვილის დასახელებულ ნაშრომში „მთაწმინდის პანთეონი“ და ის ბალახაშვილის ვერსიის იდენტურია (Ениколопов. Ткешелашвили, 1956: 9). თუმცა ადგილზე არსებული წარწერა, ისევე როგორც დოკუმენტური ფოტომასალა მოწმობს, რომ ეს წაკითხვა ინტერპრეტირებულია (ილ. 7).

გაუგებარია რატომ ამოიკითხა ი.ბალახაშვილმა ცაკლეული სიტყვები არასწორად; ან რატომ არის სწორედ ეს მცდარი ვარიანტი თარგმნილი რუსულად. „აღვმართესა“ და „აღუშენას“, „მისმან“ და „თვისმან“ შორის სხვაობის გარდა, ბალახაშვილის წაკითხულ ტექსტში სახელი ნინო საერთოდ არ ფიგურირებს. მსგავსმა ცდომილებებმა კი გამოიწვია ის, რომ აქცენტი ძეგლის აღმართვაზე გადავიდა და მთელი ყურადღება სკულპტურას მიექცა. ამიტომაც ქანდაკების დადგმის თარიღად 1832 წელი იქნა მიჩნეული. თუმცა თუ ტექსტის სწორ წაკითხვას მივყვებით საუბარია არა ძეგლის აღმართვაზე, არამედ აშენებაზე. რაც შინაარსს ცვლის. არც „ძეგლში“ მოიაზრება ამ შემთხვევაში მხოლოდ სკულპტურული გამოსახულება და ის მთლიანი არქიტექტურულ-სკულპტურული შემკულობის, როგორც ხსოვნის სიმბოლოს კრებითი შესატყვისია. ქანდაკება მხოლოდ დასკვნითი ეტაპი იყო, რომელიც აშკარაა, რომ საფლავს გვიან დაადგეს და ამასთან არა იმ ადგილას სადაც თავდაპირველად ივარაუდებოდა.

ი.ენიკოლოპოვის და გ.ტყეშელაშვილის პუბლიკაციიდან ვგებულობთ ასევე, რომ 1955 წელს, ეს წარწერა უკვე ისე იყო დაზიანებული, რომ არ იკითხებოდა და მისი აღდგენა მხოლოდ პლატონ იოსელიანის კერძო კოლექციაში დაცული ძველი ღია ბარათის მიხედვით მოხერხდა (Ениколопов. Ткешелашвили, 1956: 9). გრიბოედოვის აკლდამის უკვე დღევანდელი სახე XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებული საფუძვლიანი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგია. შეიცვალა კედლის ზედაპირის, იატაკის, როგორც გარე ასევე შიდა მოპირკეთება. ფასადზე აღარ არსებობს მარაოსებური დეკორატიული ჩანართები, თუმცა ძველი მოდელის მიხედვით დატოვებულია პილასტრები. აკლდამის XIX ს.-ის 60-იანი წლების ფოტოს მიხედვით, ქართული გვიანი შუასაუკუნეების ხელნაწერი ტექსტებისთვის დამახასიათებელი მანერით შესრულებული კედლის წარწერა, ორ სტრიქონზე იყო გადანაწილებული და შესასვლელი თაღის რკალის ორივე მხარეს სიმეტრიულად

განთავსებული. ამჟამად ტექსტი იმავე თაღის თავზე, რომელიც ასევე გადაწყობილია, ორის ნაცვლად სამ, მწყობრ სტრიქონს იკავებს. შეცვლილია გრაფემების მოხაზულობა, მათ შორის ბმები, ასონიშნების განაწილების სპეციფიკა, რაც აღდგენითი სამუშაოების თანადროულია და ლოგიკურად, განსხვავებული მხატვრული ესთეტიკის მატარებელი.[5]

თარიღი – 1832 წელი – რომელიც არ იკითხება ძველ ღია ბარათზე, თანამედროვე წარწერაში მკაფიოა. დღეს ბუნდოვანია რაიმე კონკრეტული დოკუმენტის მიხედვით მოხდა თარიღის დადგენა, თუ წარწერის განახლების დროს, ორიგინალ ვერსიიდან იქნა ამოკითხული. თუმცა აკლდამის თავზე არსებულ წარწერაში 1832 წელი რომ არის მითითებული ამას, 1898 წელს გაზეთ „კვალში“, ყოველგვარი ტექსტუალური განმარტების გარეშე, დაბეჭდილი გრაფიკული ილუსტრაციაც (ავტორი უცნობია) ადასტურებს. (ილ. 8) გამოსახულებაზე გრიბოედოვის აკლდამის შესასვლელის ფონზე ორი სასულიერო პირია ნაჩვენები. აქვეა კედელზე დატანილი წარწერაც, რომლის გარჩევა, რთულად მაგრამ მაინც შესაძლებელია. განსხვავებით ასონიშნებისგან, სადაც კლაკნილობის ხარისხი ძალიან მაღალია, სტრიქონის ბოლოს დატანილი თარიღი „1832“, კარგად ჩანს. შესაძლოა ეს ნამუშევარიც ერთ-ერთი დამხმარე მასალა ყოფილიყო დაზიანებული ტექსტის აღდგენისას 1955 წელს, თუმცა ამის შესახებ არსად არაფერია ნათქვამი.

რაც შეეხება საკუთრივ ამ ნამუშევრის შექმნის თარიღს ცხადია, რომ გაზეთ „კვალის“ მითითებული ნომრის მიხედვით, ზედა ზღვარი 1898 წლით განისაზღვრება. 1929 წელს ივ. ენიკოლოპოვის ავტორობით გამოცემულ წიგნში „ა. ს. გრიბოედოვი საქართველოსა და სპარსეთში“ (Ениколопов, 1929: 201), აღნიშნული გრაფიკული კომპოზიცია ილუსტრაციის სახით არის გამოყენებული და აქვს მინაწერი: „XIX საუკუნის 50–იანი წლების გრავიურა“. ავტორი გაზეთ „კვალს“ არსად ახსენებს. ნამუშევრის დათარიღებისას კი ლოგიკურად ალბათ იმას ეყრდნობა, რომ აკლდამაში მეორე საფლავი არ ჩანს. რადგან ნინო ჭავჭავაძე 1857 წელს გარდაიცვალა, დიდი ალბათობით სწორედ ამის მიხედვით მონიშნეს კიდეც ნამუშევარის შესრულების დაახლოებითი დროითი მონაკვეთი. ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ ნახატზე

[5] „დიდი რუსი მწერლის ა.ს. გრიბოედოვის დაბადების 160 წლისთავისათვის თბილისის საქალაქო საბჭოს კულტურის განყოფილებამ გადასწყვიტა მოახდინოს სრული რესტავრირება მღვიმისა მთაწმინდაზე, რომელშიაც მოთავსებულია ა.ს. გრიბოედოვისა და მისი მეუღლის ნინო ჭავჭავაძის ძეგლები. ეს მღვიმე და მასში მოთავსებული ძეგლები, თავიანთი ხანგრძლივი არსებობის გამო, საფუძვლიან შეკეთებას მოითხოვდნენ. მღვიმის ფასადი აგებული იყო უმთავრესად კირქვისაგან, რომელიც ჩქარა გამოიფიტება ხოლმე. ამის გამო ფასადი დროთა განმავლობაში ძლიერ დაზიანდა. წაიშალა მოხაზულობა ქვებისა, რომლებიც თაღს ამშვენებდნენ, გაიცრიცა სხვადასხვა ორნამენტები (ლარნაკი, ჩირაღდანი), აგრეთვე ქართული წარწერა, რომელიც მოთავსებული იყო ფრონტონს ზემოთ. მღვიმეში მოთავსებული ძეგლები გრიბოედოვისა (ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული) ალაგ–ალაგ დაზიანებული იყო. ქვის ფილებით მოკირწყლული იატაკი ბევრ ადგილას გაიბზარა. ეს მღვიმე აოცებდა მნახველს თავისი ფაქიზი გაფორებით. ამიტომ სარესტავრაციო სამუშაოებს საფუძვლად დაედო ძეგლის ავტორის თავდაპირველი ჩანაფიქრი. მღვიმის მთლიანი რესტავრაციისათვის საჭირო გახდა ფასადის ძირითადად შეცვლა, ახალი ფასადი აგებულ იქნა იმავე პროპორციებით, მხოლოდ მასალად, კირქვის ნაცვლად, გამოყენებულ იქნა ბაზალტის ქვა, რომელიც გამოირჩევა თავისი სილამაზითა და გამძლეობით; იატაკი და მთელი შიდა კედელი მღვიმისა, იატაკიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე – მოფენილია საუკეთესო ხარისხის მარმარილოს ფილებით. მღვიმის წინ მოწყობილია პატარა მოედანი ბაზალტის ქვისაგან. გრიბოედოვისა და მისი მეუღლის ძეგლებს მიცემული აქვთ მათი პირვანდელი სახე. მთლიანად აღდგენილია ქართული წარწერა მღვიმეზე, რომელიც წელთა განმავლობაში წაიშალა და აღარ ჩანდა. მისი აღდგენა შესაძლებელი გახდა სურათის მიხედვით, რომელიც თავის დროზე გადაუღია ისტორიკოს პლატონ იოსელიანს.“ გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“.1955, 14.01. N2, გვ.3

გამოსახული ორი სასულიერი პირიდან ერთი, რომელიც ზის, და ამას შემორჩენილი ფოტოსურათებიც ადასტურებს მთაწმინდის ეკლესიის მოძღვარი, ჩვენს მიერ უკვე ნახსენები, იოსებ გრიგორიევია. მის შესამოსელში კამილავკა ფიგურირებს, რაც 1844 წელს ეწყალობა გრიგორიევს. აქედან გამომდინარე გრაფიკული კომპოზიციის შექმნის თარიღი 1844–1857 წლებს შორის ინტერვალით შეიძლება განისაზღვროს. და თუ ამ ნამუშევარზე აკლდამის თავზე 1832 წელი ფიგურირებს, ცხადია, რომ ეს თარიღი იქ იმთავითვე ასე იყო დატანილი.

მაშინ გამოდის, რომ ჟურნალ „მოსკოვის ტელეგრაფში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია რეალობამ საგრძნობლად დააკორექტირა. აღნიშნული ვრცელდება ქანდაკების ავტორზეც. ჟურნალი იუწყება, რომ „სკულპტურა, რომელიც მემორიალის თავზეა განთავსებული და პიედესტალი მოსკოვშია გაკეთებული, ცნობილი მხატვრის ბ-ტ კამპიონის მიერ“ („Московский телеграф“, 1832: 411-412). ამ ფრაზის მიხედვით კამპიონი ნამუშევრის ავტორია. თუმცა ვფიქრობ აღნიშნული შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

გრიბოედოვის საფლავზე მსჯელობისას საგულისხმოა, როგორც არქიტექტურულ-სკულპტურული კომპოზიციის ცალკეული შემადგენელი ნაწილები, ასევე მისი ერთიანი მხატვრული მთლიანობა. პროექტის არქიტექტორი უცნობია. მეტიც, მისი არსებობის საკითხიც კი არ განიხილება არც ერთ პუბლიკაციაში. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ სივრცის მსგავსი მოწყობა, თუნდაც საწყის პროექტირების ეტაპზე არქიტექტორის გარეშე განხორციელებულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ გრიბოედოვის საფლავის საბოლოო ვარიანტი ძალიან ახლოსაა და ჰგავს ჟურნალ „მოსკოვის ტელეგრაფში“ დაბეჭდილ პროექტზე წარმოდგენილ ვერსიას, ის მაინც საგრძნობლად სხვაობრივია. უმთავრესი განმასხვავებელი კი ქალის სკულპტურული ფიგურის მდებარეობაა. სწორედ მისი ადგილმონაცვლეობა ცვლის საფლავის კონცეფციას. პროექტში ქალის ფიგურა არა უშუალოდ მწერლის აკლდამაზე (როგორც ეს დღესაა), არამედ მთაწმინდის იმ ბაქანზე დგას, რომლის ქვევითაც გამოჭრილ მცირე დარბაზში მიცვალებულის ნეშთი განისვენებს.

მაშინ როცა გრიბოედოვი მთაწმინდაზე დაკრძალეს, იქ პანთეონი არ არსებობდა (ეს სტატუსი ამ ადგილმა 1929 წელს შეიძინა). მთაწმინდის ისტორია წმ. დავით გარეჯელის აქ დამკვიდრებიდან იწყება. მას შემდეგ სხვადასხვა ინტენსიობით, მაგრამ სამონასტრო ცხოვრება, ამ ადგილას, თითქმის მუდმივად მიმდინარეობდა. ისტორიულ წყაროებში მრავლადაა შემორჩენილი ინფორმაცია იმ მღვდელ-მონაზონთა შესახებ, რომლებიც მთაწმინდის მონასტერში მოღვაწეობდნენ და იქვე დაიკრძალნენ. ტაძრის გალავანში არაერთი საერო პირიც განისვენებდა. ამიტომ ცხადია აქ არც გრიბოედოვის დაკრძალვაში იყო უჩვეულო რამე, თუმცა ადგილი უდაოდ გამორჩეული შეირჩა. მამადავითის ტაძრისკენ მიმავალ ცენტრალურ გზაზე, პირველი რასაც ხვდები, სწორედ გრიბოედოვის აკლდამაა და ეს ასე იყო იმთავითვე.

საგულისხმოა მამადავითის მთის, მის ფერდზე არსებული ტაძრის და შემდგომ უკვე საფლავის ადგილმდებარეობის ერთიანი სქემის ანალიზი. მთის ილუზორული ვერტიკალის, დაახლოებით შუაწელზე მდებარე ტაძარის (იმხანად დღევანდელთან შედარებით მცირე ზომის და ორქანობა სახურავით გადახურული), ქვედა ბაქანზე, ცენტრალური ვერტიკალის ჩამოყოლებაზე მოეწყო აკლდამის ტიპის მცირე ქვაბული. მხოლოდ ამ ნაწილის შინაარსობრივ დატვირთვაზე თუ ვიმსჯელებთ გრიბოედოვის საფლავი კლასიკური გაგებით კრიპტას პრინციპის მიხედვითაა დაგეგმარებული და იმავდროულად, უჩვეულოდ აქცენტირებულია.

აკლდამაში შესასვლელი ნახევარრკალისებური დაბალი, განიერი თაღი, პილასტრის პრიციპით შექმნილ, და ობელისკის ფორმას მეტად მიმსგავსებულ ორ ვერტიკალს შორისაა

განთავსებული. ორივე მათგანი იდენტური დეკორატიული მოტივითაა შემკული. რომელთა კონცენტრაცია ქვედა საყრდენ არესა და ზედა კიდურა, კარნიზის ნაწილში მაღალია, საკუთრივ ტრაპეციის ფორმის ნახევარსვეტების სადა ზედაპირზე კი მხოლოდ მარადიული ხსოვნის სიმბოლო, მარტივი, წრიული, მცენარეული გვირგვინის რელიეფია გამოსახული.

კომპოზიციის ცენტრალურ არეს, ორივე მხრიდან, ნახევრადმორკალული პარადული კიბე აუყვება. ეს ვიზუალური დინამიკა, ზედა ბაქანზე, ტაძრის საფუძველთან იკვრება. სადაც უნდა განთავსებულიყო კიდეც პროექტის თანახმად ქალის მგლოვიარე ფიგურა. თავდაპირველად, ის გრიბოედოვის აკლდამის უშუალო, ზედა შემკულობად არ მოიაზრებოდა, როგორც ეს დღესაა, არამედ რთული არქიტექტურული კომპოზიციის დამაგვირგვინებელ მთავარ ემოციურ აქცენტს წარმოადგენდა. მსგავსად დანახული არქიტექტურულ-სკულპტურული კომპოზიცია, რომლის მხატვრულ-გამომსახველობითი ენა მკაფიო კლასიცისტური ხასიათისაა, მთაწმინდის ფერდობზე, ტაძრის მახლობლად, საგულისხმო აქცენტს აჩენდა. შედეგად მთის ამ ორდონიან ბაქანზე თავს მოიყრიდა ტაძარი, პარადულად გამშვენებული აკლდამა და ტაძრის წინ განთავსებული მგლოვიარე ქალის სკულპტურული გამოსახულება. დიდი ალბათობით, მსგავსი კონფიგურაციის შემთხვევაში ქალის ფიგურა, რომელიც ისედაც ზოგადია, კიდევ უფრო განვრცობილ შინაარსობრივ დატვირთვას შეიძენდა. ადვილი მისახვედრია, რომ ქანდაკების ადგილმდებარეობის ცვლა, ნინო ჭავჭავაძისა და თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის მიმოწერაში აღწერილ პროცესესბს უკავშირდება. ის კი ფაქტია, რომ ამ ერთმა ცვლილებამ, მთლიან კონცეფციაში, მკვეთრი ტრანსფორმაცია გამოიწვია. სუბიექტურობის ხარისხმა იმატა და მოვლენაც სრულად ლოკალიზდა. პროექტის თანახმად, ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის გაყოლებაზე მოაზრებული მგლოვიარე ქალის ფიგურა, რომელიც გრიბოედოვის აკლდამას მიემართებოდა, დიდი ალბათობით, ზოგად-სიმბოლურ დატვირთვას შეიძენდა. ეს გრიბოედოვსაც გლოვის უპირატეს ობიექტად აქცევდა მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმათმეტყველების საშუალებით. ამ შემთხვევაში კომპოზიციის ვიზუალური ენა დამატებით, ჭეშმარიტი რეალობის ჩამნაცვლებელ მიმართებებს გააჩენდა და მთა, ტაძარი და აკლდამა იმ ახალ კონტექტს შეკრავდა რაც ქალის ფიგურის საკუთრივ, საფლავზე განთავსებისას არასდროს მოხდებოდა. ალბათ ამაზე არც ნინო ჭავჭავაძე და მით უფრო არც მისი კორესპოდენციის არც ერთი ადრესატი არ ფიქრობდა, თუმცა მოვლენების განვითარებამ მხატვრული ინტერპრეტაციების არეალის კონცენტრირება სრულად აკლდამის ირგვლივ უზრუნველყო.

ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტურ მასალას შორის ჯერ-ჯერობით ყველაზე ადრეული ის გრაფიკული ჩანახატია, რომელზეც მთაწმინდის ფერისცვალების ძველი, დარბაზული ეკლესიაა ასახული. (ილ. 9) მის ქვევით გრიბოედოვის აკლდამაა დატანილი, ქვით მწყობრი, რიტმული წყობით მოპირკეთებული ნახევარწრიული შვერილის სიღრმეში, სადაც მხოლოდ ერთი საფლავია თაღის მიღმა მკაფიოდ ნაჩვენები. ადვილი მისახვედრია, რომ ნამუშევარი 1857 წლამდე, ნინოს გარდაცვალებამდეა შესრულებული. ნახატი ცხადყოფს, რომ მართალია საგრძნობი ცვლილებებით, მაგრამ გრიბოედოვის საფლავი და მისი გარე მოპირკეთება როგორც ჩანს იმთავითვე მაქსიმალურად პროექტის გათვალისწინებით შესრულდა.

გამორჩეულად საყურადღებოა, კიდევ ერთი ძველი დაუთარიღებელი ფოტო, რომელიც აღნიშნულს ადასტურებს. ეს ფოტო გრიბოედოვის აკლდამის შესასვლელს ასახავს. აქ მკაფიოდ ჩანს, როგორც კედელზე დატანილი წარწერა, ასევე აკლდამის შესასვლელის შემკულობა, იატაკის ფრაგმენტი, კლდის ზედა ბაქანზე არსებული მოაჯირი და მის უკან კლდის ხედი. მსგავსი ფონი ამ ადგილას გადაღებულ ფოტოზე მხოლოდ 1859–1871 (ბერიძე, 1963: 29) წლებს შორის დროით ინტერვალში შეიძლება ყოფილიყო, როცა ფერისცვალების

ძველი ეკლესია უკვე დაშლილია და მამადავითის ახალი გუმბათიანი ტაძარი ჯერ არ არის აშენებული. კიდევ უფრო ზუსტად, ალბათ ამ ფოტოს თარიღად 1860–იანი წლების პირველი ნახევარი უნდა განისაზღვროს, რადგან უკვე ამოწვერილი ნაგებობა ფოტოობიექტივის კადრში ცხადია გამოჩნდებოდა. რაც შეეხება გრიბოედოვის აკლდამას ის ჯერ ისევ პირვანდელი სახითაა. ჩანს ქვის ფილებით მოგებული მასიური იატაკი, შესასვლელის თავზე მარაოსებური რელიეფური დეტალი, რომლის მცირე ვერსიებიც პილასტრების შიდა კუთხეებშია გამეორებული. წარწერა, ლითონის ცხაური, ზედა ბალუსტრადა, მისი მასიური ქვის ბურჯებით და ლითონის მოაჯირით, მცენარეული მოტივით შემკული კარნიზის ზოლი და ა.შ. ამ იერს ინარჩუნებს აკლდამა 1871 წელსაც. სწორედ ასე თარიღდება არქიტექტორ ა.ჩიჟოვის ჩანახატიც, გამოქვეყნებული 1871 წლის ჟურნალ „ნივაში“(ჟურნალი გამოიცემოდა სანქტ–პეტერბურგში), გრიბოედოვის საფლავისადმი მიძღვნილი მისივე მოკლე სტატიის საილუსტრაციოდ (Чижовъ, 1871: 100-101). რომელიც ჩვენს მიერ მოტანილ ფოტოზე არსებულ ვითარებას სრულად იმეორებს. (ილ. 10)

1879 წელს გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 50 წელი აღინიშნა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით მისი საფლავი კვლავ ინტერესის ცენტრში აღმოჩნდა. არსებობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის, დიმიტრი ერმაკოვის ფონდში დაცული ფოტომასალა, სადაც სწორედ 1879 წელს გადაღებული, გრიბოედოვის საფლავის ამსახველი არაერთი კადრია შემონახული; ამავე წლის, ჟურნალ „მსოფლიო ილუსტრაციის“ ყდაზე დაბეჭდილი ა.ბაუმანის ნახატი (შესრულებული, როგორც წარწერა იუწყება ჟურნალის კორესპოდენტის პ.ხრჟანოვსკის ჩანახატის და ფოტოს მიხედვით („Всемірная Иллюстрация“, 1879: 1), რომელზეც გრიბოედოვის აკლდამა ნაჩვენებია ჯერ ისევ მშენებარე ტაძრის ფონზე. (ილ. 11) ფოტომასალის ხარისხი განსხვავებულია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყველა დეტალის გარჩევის საშუალებას არ იძლევა. არის ფოტოები სადაც აკლდამის შესასვლელის თავზე განთავსებული წარწერა, ისევე როგორც დეკორატიული შემკულობის ნაწილი თითქმის არ ჩანს. თუმცა ფოტო და გრაფიკული მასალის ჯამური ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ გრიბოედოვის განსასვენებელმა ამ დროისთვის მხოლოდ ერთი ცვლილება განიცადა – ის შეღებეს, შეათეთრეს რუსულ ყაიდაზე, ისევე როგორც ორივე გვერდითი კედელი და აკლდამის მასიური ქვის იატაკიც კი, რომელიც კიდევ უფრო გვიანდელ ფოტოებზე კვადრატული დეკორირებული, მოსაპირკეთებელი ფილებით დაიფარა და კონტურიც კი შეეცვალა. ნახევარწრიულ, კლდის შვერილს ოსტატურად მიყოლებული ფორმა, მოგვიანებით, მკაფიო წახნაგოვნების კვადრატული საფეხურით ჩანაცვლდა, რამაც ვფიქრობ აკლდამის იერი ბევრ სხვა დეტალთან ერთად მნიშვნელოვნად დააზარალა.

ასეთია ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავის შემკობის და შემდგომი სახეცვლის ისტორია, თუმცა აკლდამას აქვს კიდევ ერთი უმთავრესი ნაწილი და ეს უშუალოდ საფლავზე განთავსებული მგლოვიარე ქალის სკულპტურული გამოსახულებაა.

აქ ინფორმაციის თვალსაზრისით საინტერესოა მამია ჩორგოლაშვილის წიგნი „მთაწმინდა“. მიუხედვადა იმისა, რომ ეს არ გახლავთ სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის გამოცემა, ცალკეული საგულისხმო პასაჟები უდაოდ ფიგურირებს. ავტორი არც ერთ პირველწყაროს არ უთითებს, თუმცა რეალურად ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ რამდენიმე ცალკეულ დოკუმენტს, ან მათ ფრაგმენტებს იცნობს და ეყრდნობა კიდეც. ის აღნიშნავს: „იტალიელმა სკულპტორმა ს. კამპიონემ ხორცი შეასხა ქართველი ქალის ჩანაფიქრს: ბრინჯაოს ფილაზე აღმართულია ჯვარი ქრისტეს ფიგურით. ჯვრის წინ მუხლმოყრილი დგას მურილიოს „მადონა“ – ნინო ჭავჭავაძე, რომელსაც ხელები ჯვრისთვის ჩაუჭდია. ბრინჯაოს ფილაზე მარცხნივ დევს ორი წიგნი. ძეგლის კვარცხლბეკი შავი მარმარილოსია. წინა მხარეზე მიმაგრებული აქვს

გრიბოედოვის ბარელიეფი“ (ჩორგოლაშვილი, 1991: 100-101) წიგნის სპეციფიკა ისევე როგორც თხრობის მანერა საშუალებას არ გვაძლევს ამ ფრაზების შინაარსი მხოლოდ ავტორის მხატვრულ ინტერპრეტაციებს მივაკუთვნოთ და შესაბამისად ვითვალისწინებთ მოტანილ მასალას.

საინტერესოა რამდენად ემთხვევა ავტორისეული აღქმა ჯვრის წინ მუხლმოყრილი ქალის ფიგურის, იმას, რაც 1930-იან წლებში და შემდგომაც გრიბოედოვის საფლავზე განთავსებული ქანდაკების ხილვისას უჩნდებოდათ ადამიანებს. მგლოვიარე ქალის პირობითი გამოსახულება, იმხანად უკვე ძალიან გავრცელებული ევროპულ და რუსულ კულტურულ არეალში, საქართველოში ჯერ ისევ არ იყო ფეხმოკიდებული. საფლავის ქვების შემკობას ჩვენში დიდი და მრავალფეროვანი ტრადიცია აქვს, თუმცა კლასიცისტური ხაზის ალეგორიული ფიგურები, იქნება ეს ანგელოზები, ახალგაზრდა ქალები თუ ათლეტური აღნაგობის ჭაბუკები, გირლანდებითა და დაფნის რტოებით – საქართველოში, ჩვენთვის ცნობილ, საფლავის ქვების, უფრო ადრეულ ნიმუშებზე არსად გვხვდება.

იმ ფაქტს, რომ ეს პირველი ამ ტიპის სკულპტურა იყო მართლაც შეიძლება ფართო საზოგადოების თვალში არარსებული სუბიექტივიზმისთვის შეექმნა სასურველი ნიადაგი. ამას დაეხმარებოდა ისიც, რომ ქორწილიდან, რამდენიმე თვეში დაქვრივებული ჭავჭავაძის ასულის დარდისგან ლამის ერთწლიანი ავადმყოფობის ამბავი ყველამ იცოდა. ამიტომ ცხადია გარკვეული განზოგადების შენარჩუნების კვალად, ასოციაციური ბმა სკულპტურაზე გამოსახულ ქალსა და ნინო ჭავჭავაძეს შორის საზოგადოების ფართო წრეებში ალბათ არსებობდა. აგერ უკვე XXს.-ის მიწურულს მამია ჩორგოლაშვილის ზევით ნახსენები ფრაზაც კი, რაც ერთდროულად მოვლენის რომანტიზებით, მისი ისტორიულ-პოლიტიკური ქვეტექსტის სოციალური პროფანიერბით  და კვლავაც ინფორმაციული სიმწირით უნდა აიხსნას.

ქართული ქანდაკების ისტორიაში ნამდვილად არსებობს მგლოვიარე ქალის ფიგურა, რომელიც მთელი ერის პერსონიფიცირებული გამოსახულებაა და ეს XX საუკუნის დასაწყისში, იაკობ ნიკოლაძის ავტორობით შექმნილი ილიას საფლავის ქანდაკებაა. ნიკოლაძე ისევე როგორც გრიბოედოვის საფლავის მოქანდაკე, ქალის ფიგურის ტირაჟირებულ ვარიანტს იყენებს, თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, მის სრულ მხატვრულ გადააზრებას ახდენს.

ამჯერად კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ „მოსკოვის ტელეგრაფის“ ზევით ნახსენებ სტატიას, სადაც მითითებულია, რომ სკულპტურა და პიედესტალი მოსკოვში, ბ-ტონ კამპიონის მიერ იყო გაკეთებული. ქანდაკების შესაბამისი პარალელური მასალის მოძიების შემდეგ, სურათი მკვეთრად იცვლება.

რადგან დანამდვილებით ვიცით, რომ ნინო ჭავჭავაძის სურვილით საფლავისთვის ქანდაკების შეკვეთა რუსეთში მოხდა, ლოგიკურია თანადროულ რუსულ მემორიალურ სკულპტურებს შორის ვეძიოთ პარალელები.

1825 წელს ფლიგელ-ადიუტანტის ვ. ნოვოსილცევის საფლავისთვის სკულპტორი ვასილ დემუტ-მალინოვსკი (1784–1833) ქმნის ქანდაკებას, გარდაცვლილის დედის დაკვეთით, რომელიც საფლავზე 1826 წელს დაიდგა.[6] ვასილი დემუტ-მალინოვსკი XIX საუკუნის

[6] ადიუტანტ-ფელდმარშალ ვლადიმერ ნოვოსილცევსა და კონსტანტინე ჩერნოვს შორის დუელი შედგა პეტერბურგში 1825 წ. ორივე მონაწილე დაიღუპა. ნოვოსილცევის ნეშტი გადაიტანეს მოსკოვში და დაკრძალეს მაცხოვრის მონასტრის ფერისცვალების ეკლესიაში (ნოვოსპასკის მონასტერი). 1918 წელს მონარქიის დამხობისთანავე მონასტერი დახურეს და საკონცენტრაციო ბანაკი მოაწყვეს. იქ არსებული

პირველი ნახევრის რუს მოქანდაკეებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. მას ს. პიმენოვის, მ. კრილოვის, ს. გალბერგის, ი. ვიტალისა და ა. ტერებენევის გვერდით მოიხსენიებენ. მის ნამუშევრებს თანამედროვეები კარგად იცნობენ როგორც მოსკოვში, ასევე პეტერბურგში. იგულისხმება, როგორც მათი მხატვრულ-შეოქმედებითი მახასიათებლების აღიარება, ასევე შეკვეთების სიმრავლე და პოპულარობა.

კომპოზიცია ჯვრის წინ მუხლმოყრილი ახალგაზრდა ქალის ფიგურას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული დეტალების განსხვავების მიუხედავად, ნამუშევარი გრიბოედოვის საფლავის შემკულობის იდენტურია. და რადგან დროშიც წინმსწრებია, საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ პირველწყაროცაა. „ავტორმა შეძლო შეექმნა გამთლიანებული და ლაკონური კომპოზიცია, აღსავსე გულწრფელი სევდით. ქანდაკებამ დიდი პოპულარობა შეიძინა და რამდენჯერმე გაიმეორეს ან სრულად, ან აქსესუარების ფრაგმენტული ცვლით“ (Ермонская, Нетунахина, Попова, 1978: 94) ვასილი დემუტ-მალინოვსკის ავტორობით შექმნილი კომპოზიცია მართლაც არაერთგზის ტირაჟირდა. მათ შორის: გრაფ ფონ დე პალენის საფლავი, მოსკოვი, ვედენსკოეს სასაფლაო, 1834; ი. ბარიშნიკოვის საფლავი, დონის მონასტერი, 1829 (Ермонская, Нетунахина, Попова, 1978: 94); ნ. შულგინას საფლავი, დონის მონასტერი, 1828; ი.ზოლოტაროვის საფლავი, კალუგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 1830 (Ермонская, Нетунахина, Попова, 1978: 94) და სანტინო კამპიონის საფლავი (Ермонская, Нетунахина, Попова, 1978: 148), მოსკოვი, ვედენსკოეს სასაფლაო, 1847 – ოსტატის, რომელსაც როგორც გრიბოედოვის საფლავის ქანდაკების ავტორს ისე მოიხსენიებს „მოსკოვის ტელეგრაფი“ შემდგომ კი ამ წყაროზე დაყრდნობით სხვა არაერთი მკვლევარი (ილ. 12 ).

ალბათ დიდი დასაბუთება არ სჭირდება იმას, რომ საქმე გვაქვს დემუტ-მალინოვსკის ავტორობით შექმნილი კომპოზიციის წარმატებული ტირაჟირების შემთხვევასთან. ამის საილუსტრაციოდ ყველა დასახელებული ნიმუშის შედარებაც კმარა. ისინი არა თუ ჰგავს ერთმანეთს, არამედ პრაქტიკულად იდენტურია.

ამ კომპოზიციის კიდევ ერთ ვარიანტზე წერს ა. კოროსტელევი პუბლიკაციაში „პიროვნების რეპრეზენტაცია რუსული საფლავების შემკულობებში დონის მონასტრის ნეკროპოლის მაგალითზე“ (Коростелев, 2025: 102-118). ის აღნიშნავს: „იქვეა კიდევ ერთი ნამუშევარი ვ. დემუტ-მალინოვსკის – ე.ბარიშნიკოვის უფროსი ვაჟის, ი. ბარიშნიკოვის (გარდაიცვალა 1829 წ.) საფლავი. ის შესრულებულია ჯვართან მოტირალი ქალის სახით. მაღალ პოსტამენტზე განთავსებულია სახარებაც. ეს ნამუშევარი წარმოადგენს საავტორო ასლს ვ. ნოვოსილცევის საფლავის კომპოზიციის, რომელიც ავტორმა უფრო ადრე შეასრულა და სადაც სახარებასთან ერთად სამხედრო აღჭურვილობაც ფიგურირებდა. მოქანდაკე ემოციის საჩვენებლად კვლავ გამომსახველობით ჟესტებს იყენებს: დარდის სიღრმეს აქ გოგონას ხელების დაძაბული მოძრაობა ამჟღავნებს. საფლავის შემკულობის ამ ტიპს არაერთგზის გაიმეორებენ ატრიბუტების მცირედი ცვლით: მაგალითად, მწერალ ა. გრიბოედოვის საფლავზე (1795–1829 წწ.) თბილისში, სახარებასთან ერთად დევს წიგნი „ვაი ჭკუისაგან“ და ლირა“ (Коростелев, 2025: 112).

გრიბოედოვის საფლავს როგორც დემუტ-მალინოვსკის ნამუშევარს ასახელებს გ. ნეტუნახინაც XVIII–XIX სს.–ის მიჯნის რუსულ მემორიალურ ქანდაკებებზე მსჯელობისას (Ермонская, Нетунахина, Попова, 1978: 94-95). ავტორმა იცის „მოსკოვის ტელეგრაფის“ 1832

ქანდაკებების უმეტესობა კი სიმონოვ უსპენსკის მონასტრის მუზეუმს გადასცეს. ნოვოსილცევის საფლავის სკულპტურა დონის მონასტრის გოლიცინების საგვარეულო აკლდამაში გადაიტანეს.

წლის სტატია გრიბოედოვის საფლავის შესახებ. ის ამ გამოცემას ბიბლიოგრაფიაში უთითებს, თუმცა კამპიონის ავტორობის საკითხს არც კი ახსენებს. ასევე იყენებს გარფიკულ მასალას, რომელიც ტელეგრაფში გამოქვეყნებულის იდენტურია. მართალია ამ შემთხვევაში სიტუაციური გეგმის ნაწილი არ ფიგურირებს და დოკუმენტის ადგილმდებარეობად მოსკოვის სახელმწიფო ისტორიის მუზეუმია მითითებული, თუმცა გამოსახულებაზე არსებული ლათინური ასოებით დატანილი მინიშნებები და მკაფიო ვიზუალური მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ეს იგივე პროექტია, რაც „მოსკოვის ტელეგრაფში“ იყო დაბეჭდილი. აშკარაა, საქმე გვაქვს დემუტ-მალინოვსკის ერთ-ერთ ძალიან წარმატებულ სკულპტურულ კომპოზიციასთან, რომელიც როგორც ჩანს XIX საუკუნის რუსულ საზოგადოებაში განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა.

მაშ რა შუაშია ან რატომ გაჩნდა ამ ამბავთან მიმართებით კამპიონის გვარი.

სანტინო კამპიონი და მისი ოჯახის რამდენიმე თაობა, ზუსტად ისევე როგორც ტრისკორნების და პერმაგოროვების ოჯახები, XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთში „სახელოსნოებად“ უფრო იყო ცნობილი. ლიტერატურა მათ უმეტესად დეკორატიული სკულპტურის, საფლავის ქანდაკებების და შენობების ფასადების შემკულობის თუ მოსაპირკეთებელი სამუშაოების შემსრულებლად მოიხსენიებს.

როგორც ჩანს, მათი სახელოსნოს ოსტატების მომზადების მაღალი ტექნიკური დონე, ამ სახელოსნოების წარმატების გარანტი იყო წლების განმავლობაში. ეს იყო საქმე, რომელსაც მომავალი თაობა მემკვიდრეობით ღებულობდა და შემდგომს გადასცემდა. ასეთი იყო წარმოშობით იტალიელი პიეტრო კამპიონის ოჯახიც, რომელის ვაჟს სანტინოს მიეწერება გრიბოედოვის ქანდაკების ავტორობა.

კამპიონის ოჯახის საქმიანობისადმი მიძღვნილ კვლევაში ს. ცაროვა წერს: „XVIII ს.-ის ბოლოს და XIX ს.-ის პირველი ნახევრის მოსკოვის არქიტექტურული სახის შექმნაში მონაწილეობას ღებულობდნენ არა მხოლოდ არქიტექტორები, არამედ მოქანდაკეებიც, მარმარილოს ოსტატები – დეკორატორები, ისინი ვინც საკუთარ სახელოსნოებში კერძო და საზოგადოებრივი ნაგებობების გარე და შიდა შემკულობის დეტალებს აწარმოებდა. მოსკოვში, ამ ტიპის ერთ-ერთი სახელოსნოს მეპატრონეები კამპიონის ოჯახის სამი თაობის წარმომადგენლები იყვნენ“ (Царёва, 2017: 73). ვფიქრობ საგულისხმოა, რომ ზოგადად პროფესიულ ლიტარატურაში და მათ შორის ჩვენს მიერ დასახელებულშიც, კამპიონის სახელოსნოსთან მიმართებით მსჯელობა უმთავრესად, ქვის და საჩამომსხმელო დამხმარე სამუშაოების კონტექსტით იფარგლება. ასევე კვლევაში, რომელიც მხოლოდ ამ ოჯახის საქმიანობას ეძღვნება, კამპიონის გვარის არც ერთი წარმომადგენელი, არც ერთხელ არ არის რაიმე საავტორო ქანდაკების შემქმნელად დასახელებული. არადა ისინი მუდმივად მუშაობდნენ საფლავის ქანდაკებების ძვირადღირებულ შეკვეთებზე, ასევე გამორჩეული არქიტექტურული ნაგებობების გარე და შიდა მოპირკეთება-შემკობაზე. „ამ სახელოსნოში მზადდებოდა ალებასტრის ბარელიეფები; ალებასტრის, მარმარილოს, ბრინჯაოს ფიგურები და საფლავზედა შემკულობები; პიედესტალები და საფლავზედა ლოდები ბუნებრივი და ხელოვნური მარმარილოსგან; მარმარილოს ბუხრები ბრინჯაოს დეტალებით; ასევე ხორციელდებოდა კედლების და სვეტების ხელოვნური მარმარილოთი მოსაპირკეთებელი სამუშაოები“ (Царёва, 2017: 73). მნიშვნელოვანია, რომ მოსკოვში ერთდროულად მუშაობდა სანტინო კამპიონის და მისი ძმის ნიკოლა კამპიონის სახელოსნოები. ბრინჯაოს სამუშაოები მეტად ნიკოლასთან მოიხსენიება, თუმცა სანტინოს სახელოსნო, როგორც ჩანს, მეტი პოპულარობით სარგებლობდა და უფრო დიდი მასშტაბისაც იყო.

არ არის ძნელი მისახვედრი, რომ სანტინო კამპიონი გრიბოედოვის საფლავზე აღმართული ქანდაკების ავტორი არ არის. დიდი ალბათობით მის სახელოსნოში დამზადდა სარკოფაგის ტიპის ქვის პიედესტალი, შეიქმნა აკლდამის შესასვლელის მოპირკეთება-შემკობის პროექტი და ალბათ ჩამოისხა კიდეც დემუტ-მალინოვსკის, იმხანად გამორჩეულად პოპულარული სკულპტურა. რამაც კამპიონის გვარი ამ ნამუშევარს საბოლოოდ სამართლიანად დაუკავშირა, თუმც კი ფაქტობრივი ცდომილებით. ის დაკვეთის შემსრულებელია. მოქანდაკისგან მინიჭებული უფლებით ყალიბს ფლობს და მოთხოვნის შესაბამისად კომპოზიციაში გათვალისწინებულ ყოფით ატრიბუტიკას, კონკრეტულ ადამიანებს არგებს. ამით უკიდურესი პირობითობით გამორჩეული სკულპტურა კონკრეტულ პიროვნებასთან ასოცირებული ხდება.

როგორც ჩანს დემუტ-მალინოვსკის აღნიშნული ნამუშევარი თავადაც მოსწონდა, ან მსგავსი საფლავის ქონა გარკვეულ საზოგადოებრივ სტატუსზე მიანიშნებდა, რადგან სანტინო კამპიონის და მისი მეუღლის საფლავზეც ეს ფიგურაა აღმართული. აქ მუხლმოყრილი ქალის ფეხებთან არანაირი ნივთები არ განუთავსებიათ, რაც ვფიქრობ მოწმობს, რომ ატრიბუტებს, ყოველ ჯერზე თავად ცვლიდა. ის ფაქტი, რომ ეს ქანდაკება, იმ ადამიანის საფლავს ამკობს, ვისაც გრიბოედოვის შემთხვევაში ამავე საკულპტურის ავტორობა მიეწერებოდა, არგუმენტაციის თვალსაზრისით არაფერს ცვლის. დასახელებული მაგალითების მიხედვით ამ ფიგურით საფლავის შემკობა პოპულარული და პრესტიჟულიც კი იყო. ალბათ არც იაფი იქნებოდა. შესაძლო შაბლონურობა კი, რომელიც ტირაჟირების შემთხვევაში მკაფიო ინდივიდუალიზმით გამორჩეულ ნებისმიერ ფორმას ემუქრება, რომ არაფერი ვთქვათ დემუტ-მალინოვსკის ზედმეტად უტრირებულ ნეოკლასიცისტურ გამოსახულებაზე – როგორც ჩანს არათუ სირთულეს ქმნიდა, არამედ უფრო პირიქით, გარკვეულ სოციალურ წონასაც კი სძენდა მოვლენას.

## დასკვნები:

ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავის შემკობის ისტორია ქართული ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია. ცხადია მსგავსი მოვლენის იზოლირებული კვლევა არანაირი შედეგის მომტანი არ არის. მისი შესწავლა მხოლოდ ზოგად ისტორიულ-პოლიტიკურ და კულტურულ ჭრილშია მართებული. მით უფრო როცა საუბარია XIX საუკუნის საქართველოში უცხოეთიდან იმპორტირებული ქანდაკების გაჩენის ერთ-ერთ პირველ მაგალითზე.

მნიშვნელოვანია, რომ წინამდებარე კვლევა იძლევა საშუალებას ამ პროცესესბის თვალის გადევნების და საბოლოოდ იძლევა პასუხს ქანდაკების ავტორის ვინაობის შესახებ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

ბალახაშვილი, ი. (1966). გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ბერიძე, ვ. (1963). თბილისის ხუროთმოძღვრება 1801–1917 წლები, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

შადური, ვ. (1949). რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ჩორგოლაშვილი, მ. (1991). მთაწმინდა, თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“.

წერეთელი, ა. (1959). ქართული საბჭოთა პორტრეტული ქანდაკება, თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“.

გაზეთი „ლიტერატურული გაზეთი“. (1955). #2, თბილისი

Ениколопов, И. (1929). А. С. Грибоедов в Грузии и Персии. Тифлис.: изд. 1-ая тип. Полиграфтреста ВСНХ Грузия.

Ениколопов, И. Ткешелашвили, Г. (1956). Пантеон на Мтацминда. Тбилиси.: изд. Госиздат Грузинской ССР.

Ермонская, Б. Нетунахина, Г. Попова, Т. (1978). Русская мемориальная скульптура. К истории художественного надгробия в России XI-начала XXв. Москва.: изд. Искусство.

Дело по прошенію вдовы Стстской Советницы Нины Гривоедовой, (1831–1833). საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 488. ანაწ. 1. საქ. 2670.

Коростелев, А. (2025). Репрезентация личности в русском надгробие на примере некрополя Донского монастыря. Вестник ПСТГУ. Серия V: Вопросы истории и теории христианского искусства. Вып. 57.

Царёва, С. (2017). Новые сведения о скульптурной мастерской Кампиони в Москве. Научно-аналитический журнал по вопросам искусствоведения „Декоративное искусство и предметно-пространственная среда. Вестник МГХПА. #4 გვ. 72-86

Чижовъ, А. (1871). Гробница А.С. Грибоѣдова на горѣ св.Давида въ г. Тифлисѣ. Журнал „Нива“. Иллюстрированный журналъ для семейнаго чтенія. #7. Санкт-Петербург. გვ. 100-101

Энаколопашвили (Ениколопов), И. (1957). Мтацминда. Тбилиси.: изд. Техника да шрома.

Журналъ „Московский телеграф“. (1832). ч. 48. #23. Москва. გვ. 411–412

Журналъ „Всемірная Иллюстрация“. (1879) #529. Москва. გვ.1

## REFERENCES

balakhashvili, i. (1966). griboedovi da nino ch'avch'avadze, tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“.

beridze, v. (1963). tbilisis khurotmodzghvreba 1801–1917 ts'lebi, tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“.

shaduri, v. (1949). rusi mts'erlebi sakartvelos shesakheb, tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“.

chorgolashvili, m. (1991). mtats'minda, tbilisi: gamomtsemloba „khelovneba“.

ts'ereteli, a. (1959). kartuli sabch'ota p'ort'ret'uli kandak'eba, tbilisi: gamomtsemloba „khelovneba“.

gazeti „lit'erat'uruli gazeti“. (1955). #2, tbilisi

Enikolopov, I. (1929). A. S. Griboedov v Gruzii i Persii. Tiflis.: izd. 1-aja tip. Poligraftresta VSNH Gruzija.

Enikolopov, I. Tkeshelashvili, G. (1956). Panteon na Mtacminda. Tbilisi.: izd. Gosizdat Gruzinskoj SSR.

Ermonskaja, B. Netunahina, G. Popova, T. (1978). Russkaja memorial'naja skul'ptura. K istorii hudozhestvennogo nadgrobija v Rossii XI-nachala XXv. Moskva.: izd. Iskusstvo.

Delo po prosheniju vdovy Ststskoj Sovetnicy Niny Grivoedovoj, (1831–1833). sakartvelos erovnuli arkivi. pondi 488. anats'. 1. sak. 2670.

Korostelev, A. (2025). Reprezentacija lichnosti v russkom nadgrobie na primere nekropolja Donskogo monastyrja. Vestnik PSTGU. Serija V: Voprosy istorii i teorii hristianskogo iskusstva. Vyp. 57.

Carjova, S. (2017). Novye svedenija o skul'pturnoj masterskoj Kampioni v Moskve. Nauchno-analiticheskij zhurnal po voprosam iskusstvovedenija „Dekorativnoe iskusstvo i predmetno-prostranstvennaja sreda. Vestnik MGHPA. #4 gv. 72-86

Chizhov#, A. (1871). Grobnica A.S. GriboЂdova na gorЂ sv.Davida v# g. TiflisЂ. Zhurnal Niva. Illjustrirovannyj zhurnal# dlja semejnago chtenija. #7. Sankt-Peterburg. gv. 100-101

Jenakolopashvili (Enikolopov), I. (1957). Mtacminda. Tbilisi.: izd. Tehnika da shroma.

Zhurnal# „Moskovskij telegraf“. (1832). ch. 48. #23. Moskva. gv. 411–412

Zhurnal# „Vsemirnaja Illjustracija“. (1879) #529. Moskva. gv.1

## ილუსტრაციების სია:

ილ. 1. ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავი. თბილისი. 2025 წ. ფოტო თ.ბ.

ილ. 2. ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავი. თბილისი. 2025 წ. ფოტო თ.ბ.

ილ. 3. ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავი. თბილისი. 2025 წ. ფოტო თ.ბ.

ილ. 4. ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავი. თბილისი. 2025 წ. ფოტო თ.ბ.

ილ. 5. ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავი. თბილისი. 2025 წ. ფოტო თ.ბ. (დეტალი)

ილ. 6. გრიბოედოვის საფლავის პროექტი. ილუსტრაცია ჟურნალიდან: „Московский телеграф“. (1832). ნაწ. 48. #23. Москва

ილ. 7. ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავი. თბილისი. 2025 წ. ფოტო თ.ბ.

ილ. 8. გრიბოედოვის აკლდამა. ილუსტრაცია ჟურნალიდან „კვალი“, 1898, #43

ილ. 9. გრიბოედოვის საფლავი მთაწმინდაზე. უცნობი ავტორი. ილუსტრაცია წიგნიდან: Энаколопашвили (Ениколопов), И. (1957). Мтацминда. Тбилиси.: изд. Техника да шрома.

ილ. 10. ილუსტრაცია ჟურნალიდან: „Нива“. Иллюстрированный журналъ для семейнаго чтенія. #7. Санкт-Петербург

ილ. 11. ილუსტრაცია ჟურნალიდან: „Всемірная Иллюстрация“. (1879) #529. Москва.

ილ. 12. დემუტ-მალინოვსკი. ნოვოსილცევის საფლავის ქანდაკება. 1825. დონის მონასტრის გოლიცინების საგვარეულო აკლდამა. მოსკოვი. ილუსტრაცია წიგნიდან: Ермонская, Б. Нетунахина, Г. Попова, Т. (1978). Русская мемориальная скульптура. К истории художественного надгробия в России XI-начала XXв. Москва.

## ილუსტრაციები

ილ. 1

ილ. 2

ილ. 3

ილ. 4



ილ. 5

ილ. 6




ილ. 7

ილ. 8

ილ. 9



ილ. 10




**Гробница А. С. Грибоѣдова въ Тифлисѣ.**
Съ наброска архитектора Чижова, гравировалъ К. Вейерманъ.

ილ. 11

Тифлисъ. — Чествованіе пятидесяти-лѣтней годовщины кончины А. С. Грибоѣдова. — Процессія изъ церкви св. Давида къ склепу Грибоѣдова.
(Съ наброска нашего корреспондента П. Хржановскаго и съ фотографіи, рис. А. Бауманъ, грав. Б. Брауне.)

ილ. 12